

IX დანართის დამატება 5

შვეიცარია - მუხლში 5.4 მოხსენიებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან გამონაკლისების ჩამონათვალი

სექტორი ან ქვესექტორი	ღონისძიების აღწერა მისი 5.4 მუხლთან შეუთავსებლობის მითითებით	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ღონისძიება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისის დაშვების პირობები
აუდიოვიზუალური მომსახურება	ეროვნულ რეჟიმის მინიჭება იმ აუდიოვიზუალური ნაწარმისთვის, რომელიც გათვალისწინებულია აუდიოვიზუალური ნაწარმის ერთობლივი წარმოების შესახებ ორმხრივ ან პლურილატერულ შეთანხმებებში, კერძოდ დისტრიბუციასა და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.	ყველა ქვეყანა, რომელთანაც კულტურული თანამშრომლობა შეიძლება იყოს სასურველი (ამჟამად შეთანხმებები არსებობს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებთან და კანადასთან)	განუსაზღვრელი	საერთო კულტურული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა

სექტორი ან ქვესექტორი	ღონისძიების აღწერა მისი 5.4 მუხლთან შეუთავსებლობის მითითებით	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ღონისძიება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისის დაშვების პირობები
	<p>ღონისძიებები რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი დახმარების პროგრამებით გათვალისწინებული შედეგებით სარგებლობას, როგორცაა MEDIA და EURIMAGES და ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია საეთერო დროის გამყოფასთან, რომელიც გულისხმობს ისეთი შეთანხმებების განხორციელებას, როგორცაა ევროპის საბჭოს კონვენცია ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ და რომლებიც ანიჭებს ეროვნულ რეჟიმს აუდიოვიზუალური ნაწარმს ან / და აუდიოვიზუალური მომსახურების მომწოდებლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროპული წარმომავლობის კონკრეტულ კრიტერიუმებს.</p>	<p>ევროპის ქვეყნები</p>	<p>განუსაზღვრელი</p>	<p>კულტურული მიზნების პოპულარიზაცია, რომლებიც ეფუძნება ხანგრძლივ კულტურულ კავშირებს</p>

სექტორი ან ქვესექტორი	ღონისძიების აღწერა მისი 5.4 მუხლთან შეუთავსებლობის მითითებით	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ღონისძიება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისის დაშვების პირობები
<p>აუდიოვიზუალური მომსახურება - მხოლოდ მიწისზედა მაუწყებლობა ან როდესაც მაუწყებელს სურს ფინანსური მხარდაჭერა, პროგრამების მიღების მომსახურების საფასურიდან შემოსავლების მეშვეობით</p>	<p>კონცესია რადიო ან სატელევიზიო მაუწყებლობის სადგურების ექსპლუატაციისათვის შეიძლება იქნას მინიჭებული ნაცვალგების საფუძველზე, ამ სექტორში მონაწილე უცხოური კაპიტალის გათვალისწინებით</p>	<p>ყველა ქვეყანა, სადაც სამაუწყებლო მომსახურებაზე დაშვება ხდება იმავე საფუძველზე, როგორც ეს შვეიცარიის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული</p>	<p>განუსაზღვრელი</p>	<p>საერთო კულტურული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და შეზღუდული მასშტაბების მქონე ბაზარზე დაშვების რეგულირება (შვეიცარიის ფართობიდან გამომდინარე), რათა შენარჩუნდეს მიწოდების მრავალფეროვნება.</p>
<p>შიდა სანაოსნო გზების ტრანსპორტი</p>	<p>სატრანსპორტო მომსახურებაზე, მათ შორის კაბოტაჟზე, დაშვება რაინზე შვეიცარიის გარდა სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული გემებისთვის, მანჰაიმის კონვენციისა (მასთან დაკავშირებული დამატებითი მუხლებისა და ოქმების ჩათვლით) და ევროპაში შიდა სანაოსნო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებების საფუძველზე</p>	<p>მანჰაიმის კონვენციის ბენეფიციარები და ევროპაში შიდა სანაოსნო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებების ბენეფიციარები, რომელთა წევრიც შეიძლება შვეიცარია იყოს</p>	<p>განუსაზღვრელი</p>	<p>შიდა სანაოსნო გზების სატრანსპორტო გამტარუნარიანობის რეგულირება</p>

სექტორი ან ქვესექტორი	ღონისძიების აღწერა მისი 5.4 მუხლთან შეუთავსებლობის მითითებით	ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ღონისძიება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისის დაშვების პირობები
<p>საგზაო ტრანსპორტის მომსახურება (სამგზავრო და სატვირთო)</p> <p>ყველა სექტორი</p>	<p>ბაზარზე ორმხრივი დაშვების პრინციპების გათვალისწინებით, საქონლის ან / და მგზავრების შვეიცარიის გარდა სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირების რეგულირება, ქვეყანაში შესვლის, ქვეყნიდან გასვლის ან ტრანზიტით გასვლის შემთხვევაში, ჩვეულებრივ ორმხრივი შეთანხმებების შესაბამისად. ღონისძიებები რომელიც ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებებს ლიხტენშტაინის, ან ევროგაერთიანებას ან / და მის წევრ სახელმწიფოებსა და შვეიცარიას შორის, რომლის მიზანია მომსახურების მიმწოდებელი ყველა კატეგორიის ფიზიკური პირების გადაადგილების უზრუნველყოფა.</p>	<p>ყველა ქვეყანა, რომელთანაც არსებობს ან შეიძლება იყოს სასურველი ორმხრივი შეთანხმებები საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებით ან საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა მექანიზმები (დღეისათვის დაახლოებით 45 ქვეყანა)</p> <p>ლიხტენშტაინის სამთავრო და EC</p>	<p>გამონაკლისით სარგებლობა საჭიროა სანამ მიიღწევა შეთანხმება საგზაო ტრანსპორტის მომსახურების მრავალმხრივი ლიბერალიზაციის შესახებ, რეგიონალური სპეციფიკისა და საგზაო ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით</p> <p>განუსაზღვრელი</p>	<p>საგზაო ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფის რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინება და საგზაო ინფრასტრუქტურისა და გარემოს ერთიანობის დაცვა</p> <p>შვეიცარიასა და ლიხტენშტაინის სამთავროს და შვეიცარიასა და EC ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი შეთანხმებების ყოვლისმომცველი ნაკრების ელემენტები</p>